საჯარო სამართლის იურიდიული პირი

**საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი**

**საქპატენტი**

ქ. მცხეთა "26" 06 2013 წ.

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 944/03

**სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე**

2012 წლის 20 მარტის N 66584/03 განაცხადით სვიატოსლავ იგორევიჩ ნეჩიტაილოს (მის: 01001, კიევი 1, ზანკოვეცკაიას ქუჩა 4, ბ. 27, უკრაინა) წარმომადგენელმა ვახტანგ ტოროტაძემ მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „Хлібний дар На пророщеному зерні СПРАВЖНЯ УКРАЇНСЬКА ГОРІЛКА Тобі Справжньами" (რეგ. N 23803) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „Хлібний дар На пророщеному зерні СПРАВЖНЯ УКРАЇНСЬКА ГОРІЛКА Тобі Справжньами" (რეგ. N 23803) საქართველოში რეგისტრირებულია 25.06.2013 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 25.06.2023 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია 33-ე კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასაქონლო ნიშანზე „Хлібний дар На пророщеному зерні СПРАВЖНЯ УКРАЇНСЬКА ГОРІЛКА Тобі Справжньами" (რეგ. N 23803) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
**www.sakpatenti.org.ge**

განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლის ვადით (მოთხოვნის რეგისტრაციის N 279, მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 26.06.2013).

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; სვიატოსლავ იგორევიჩ ნეჩიტაილოს წარმომადგენელს ვახტანგ ტოროტაძეს (მის: მილორავას ქ.6, თბილისი, საქართველო).

ასლი დედანთან სწორია
"26" 06 2013 წ.
ხელმოწერა